აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 მარტის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 მარტის №99 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი (www.matsne.gov.ge), 20.03.2014, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 020090000.31.056.016042) დამტკიცებულ „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 5

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით ვებგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტი. საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტში ვებგვერდის ადმინისტრირებისათვის პასუხისმგებელ პირს განსაზღვრავს დეპარტამენტის უფროსი.“.

2. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 7

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტს:

ა) ამ წესის მე-3 მუხლის „ა“, „გ“, „ე“–„თ“, „ი“–„მ“ და „ძ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი;

ბ) ამ წესის მე-3 მუხლის „ბ“, „დ“, „ნ“, „შ“ და „ჩ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი;

გ) ამ წესის მე-3 მუხლის „ო“–„რ“, „ტ“–„ფ“ და „ყ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის აპარატის საერთო (საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის) დეპარტამენტი;

დ) ამ წესის მე-3 მუხლის „ს“, „ქ“, „ღ“ და „ც“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის ბუღალტერია.

2. საჯარო ინფორმაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტს ვებგვერდზე განსათავსებლად PDF ფორმატში მიეწოდება.“.

მუხლი 2
ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 მარტიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ჩაქვი,

10 თებერვალი 2017 წ.

N29-უ.ს.რ.ს.